სამოქალაქო იდეა

სექტემბერი
2020

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომპანიები საქართველოში / მონიტორინგის ანგარიში #3

სინოჰიდრო & ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო საქართველოში

სამოქალაქო იდეა

სამოქალაქო იდეას შესახებ

სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის- სამოქალაქო იდეა საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი,
ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

სამოქალაქო იდეა აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით "ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი", რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

სარჩევი

შესავალი 5
სინოჰიდროს საერთაშორისო „რეპუტაცია“ ფაქტებით 7
ფინანსური ეტაპები საქართველოში 9
სინოჰიდრო საქართველოში 10
კანონმდებლობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაუწვდომლობა 10
სინოჰიდროს შვილობილი კომპანიები ქართულ ბაზარზე 12
სინოჰიდრო და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები 12
სინოჰიდრო და შრომითი უფლებების დარღვევა 13
Due Diligence-ის პრობლემა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში 13
სინოჰიდროს საერთაშორისო „მაღალი რეპუტაციის“ მაგალითები 14
სინოჰიდრო, აფრიკის მაგალითები 14
განა 14
ფარული ვალები “Hidden Debt” 15
ზიმბაბვე 16
რას გულისხმობს თაღლითური პრაქტიკა? 16
სინოჰიდრო ლათინურ ამერიკაში 17
ეკვადორი 17
სინოჰიდროს მიერ გამოსყიდული ბრაზილიის Odebrecht-ის პროექტები 18
სინოჰიდროს საქმიანობა ჩინეთის ყოფილ მოკავშირე სახელმწიფოებში 19
სინოჰიდრო ჩრდილოეთ მაკედონიაში 19
ჩინეთის “Debt Trap” პოლიტიკა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში 20
სინოჰიდრო რუმინეთში 21
ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო 22
ბიბლიოგრაფია 25

სინოჰიდროსთან დაკავშირებული დარღვევების გლობალური თაიმლაინი

1996-2009 წწ. — ბაკუნის კაშხალი, მალაიზიის მთავრობამ კომპანია მრავალ დანაშაულში ამხილა, თუმცა არ შეაჩერა მისი საქმიანობა, არამედ უკიდურესი ზეწოლა მოახდინა სინოჰიდროზე რომ 2009 წლამდე პროექტი შეფერხებების გარეშე დაესრულებინა.

2008 წ. — საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) ჩაერია კონგოსა და სინოჰიდროს შორის 9 მილიარდი დოლარის ვალის პირობების გადაწერაში, რადგან მსგავსი სესხის გაცემა ძალიან ძვირად და სახიფათოდ მიიჩნია.

2010 წ. — სინოჰიდრო პირველად გამოჩნდა ქართულ ბაზარზე.

2011 წ. — სინოჰიდრომ საქართველოში ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა (ლოტი I) დაიწყო.

2012 წ. — მთავრობამ შეწყვიტა სინოჰიდროსთან კონტრაქტი, საერთაშორისო აეროპორტის (SSKIA) გაფართოების პირობების შეუსრულებლობის გამო.

2013 წ. — ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დარღვევების გამო, მსოფლიო ბანკის სანქციების საბჭომ გამოუცხადა საყვედური.

2014 წ. — მსოფლიო ბანკის THE WORLD BANK გამომძიებლებმა სინოჰიდრო დააღანაშაულეს არაღეგაღურ მაქინაციაში.

2014 წ. — სინოჰიდრომ საქართველოში თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო.

2015 წ. — ჩრდ. მაღალჩინოსნები ამხილეს მათთან კორუფციული გარიგებებში.

2016 წ. — მსოფლიო ბანკმა , , და , ასევე აფრიკის ქვეყნებში თაღლითური და კორუფციული პრაქტიკის გამო მისი სანქცირება მოახდინა.

2016 წ. — სინოჰიდრომ საქართველოში სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა (ლოტი II) დაიწყო.

2017 წ. — IMF-მა არაღეგალურად გამოაცხადა განასთან გაფორმებული $2 მილიარდის ღირებულების ხელშეკრულება როვინაიდან იგნიფინანსურ მაქინაციებზე მიგვითითებს.

2017 წ. — ენერგეტიკული კომპანიის საარბიტრაჟო სარჩელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში სინოჰიდროს წინააღმდეგ.

2017 წ. — AFDB-ს მთლიანობისა და ანტიკორუფციული ოფისის გამოძიებით დადგინდა, რომ სინოჰიდრო აწარმოებდა თაღლითურ პრაქტიკას უგანდაში..

2017 წ. — სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაციული განხილვის საბჭომ (PPARB) გააკრიტიკა და უარყო Sinohydro Tianjin Engineering Limited-სთვის კენიის Thwake კაშხლის მშენებლობის ხელშეკრულება.

2017 წ. — სინოჰიდრომ საქართველოში E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთის (ლოტი I) მშენებლობა დაიწყო.

2018 წ. — სინოჰიდროსთან გააფორმა პირველი კონტრაქტი ბუქარესტის გზის სარტყელის პროექტთან დაკავშირებით. 2019 წელს რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები კორუფციულ მაქინაციებში ამხილეს და გაასამართლეს.

2019 წ. — მუშათა კავშირმა აღმოაჩინა, ადგილობრივი მუშების უფლებებს დარღვევის მტავლობითი შემთხვევები;

2019 წ. — სინოჰიდრომ შეწყვიტა კაფუეს ხეობის ჰიდროელექტრო კაშხლის მშენებლობა.

2020 წ. — სინოჰიდრომ და ადგილობრივ კომპანია Good Prod-სთან ერთად, 38 მილიონი ევროს ღირებულების სადაჯის ჩრდილო – დასავლეთის მხარეში, ზაღაუს შემოვლითი, სარტყლური გზის პროექტის ტენდერი მოიგო.

2020 წ. — სინოჰიდრომ საქართველოში ხულო-ზარზმის გზის 42 კმ-იან მონაკვეთის საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა.

შესავალი

სამოქალაქო იდეას მესამე ანგარიში ეხება ჩინური კომპანია **Sinohydro Corporation Limited**-ის ისტორიას, რომელიც 2010 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში და რომელიც მსოფლიოში თავისი არაკეთილშობილური ქმედებებით არის ცნობილი. ჩვენი საგამოძიებო კვლევების მთავარი მიზანია სიმართლის დადგენა სხვადასხვა ბიზნეს სექტორის შესახებ, რომლებიც საქართველოში მოქმედებენ, როგორც საბიუჯეტო პროგრამების გამარჯვებულები. ჩვენ ვსწავლობთ და ვიკვლევთ კონტრაქტებს, მათ ისტორიებს მსოფლიოს მასშტაბით, ვსწავლობთ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული პრივილეგიებისა და დარღვევების მაგალითებს და საზოგადოებას განსჯის საშუალებას ვაძლევთ. ჩვენმა კვლევებმა და განხილულმა საკითხებმა ერთდროულად უამრავი მედიასაშუალების ყურადღება მიიპყრო და ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ ჩვენი ანგარიშები საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

2020 წლის 6 ივნისს, ტელეკომპანია **"TV პირველის"** საინფორმაციო გამოშვებამ გაავრცელა ჩვენი ერთობლივი **აღმოჩენები-რეპორტაჟი** საქართველოში მოქმედი ჩინური სინოჰიდროს შესახებ. ჩვენი გამოძიების ობიექტი იყო ჩინური კომპანია Sinohydro Corporation Limited- ის ოპერაციები, კონტრაქტები, სინოჰიდროს dispute board-თან წარდგენილი 37 მილიონი ლარის დავა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ დაუმთავრებელი მაგისტრალის შესახებ, აგრეთვე მათზე საერთაშორისო ცნობები, რომელსაც საქართველოს მთავრობა იშვიათად აპროტესტებდა ან განიხილავდა.



Facebook Twitter Print 0 SHARES

კითხვაზე, თუ რატომ შეირჩა სინოჰიდრო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიად, ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა, ხაზი გაუსვა, რომ ის კმაყოფილია კომპანიის მუშაობით, რადგან ეს უკანასკნელი აშენებს ინფრასტრუქტურას უფრო სწრაფად და ხარისხიანად. აღსანიშნავია, რომ თავად ქალბატონი მინისტრი ამ განცხადების საპირისპიროდ, მანამდე ინფრასტრუქტურის სამინისტროს youtube გვერდზე გავრცელებულ ვიდეოში, სინოჰიდროს მიერ მოგებულ სამტრედია-გრიგოლეთის პროექტს განსაკუთრებით პრობლემატურს უწოდებდა, გვიყვებოდა ამ **პრობლემების** და პროექტის დასრულების ვადების მრავლობითი გადავადების შესახებ. რაც შეეხება ქობულეთის შემოვლით გზას, მინისტრის კომენტარს ეწინააღმდეგება მისივე **მოადგილე**, ირაკლი ქარსელაძეს განცხადებების და პოზიცია. ეს უკანასკნელი 2018 წელს, სინოჰიდროს წარმომადგენლებს შეხვდა და სანქციებით დაემუქრა მათ, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელები ქობულეთის გზის მეორე სექციას დროულად არ დაასრულებდნენ.

ნებისმიერი, მათ შორის ამ საკითხებით დაინტერესებული, ობიექტური ადამიანისთვის სრულიად გაუგებარია, სისწრაფის და ეფექტურობის რა კრიტერიუმებს ეყრდნობა ქალბატონი მინისტრი ზემოხსენებულ საგამოძიებო რეპორტაჟში, ვინაიდან:

1) ქობულეთის შემოვლითი გზის პროექტი, რომლის ერთი ნაწილიც სულ რაღაც 2 წლის წინ დასრულდა, დაზიანებულია,

2) მეორე ნაწილი კი დღემდე დაუსრულებელი რჩება,

3) კომპანია მსოფლიოში ცნობილია თავისი ცუდი რეპუტაციით,

4) მსოფლიო ბანკისა და სხვა მრავალი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციის შავ სიებში იძებნება.

ცქიტიშვილის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კი სინოჰიდროს მიერ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის საკითხს უფრო ბუნდოვანს და საეჭვოს ხდის.

Name: „ JAHANPARS Engineering & Construction“

Bid price at bid opening: 88,535,979.05 GEL (including VAT)

Reason(s) for rejection: The Bid is not signed by a duly authorized representative of the company.

Name: „ Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC“

Bid price at bid opening: 106,896,441.97 GEL (including VAT)

Reason(s) for rejection: The Bid is not signed by a duly authorized representative of the company.

Name: „Sinohydro Corporation Limited“

Bid price at bid opening: 96,543,432.85 GEL (including VAT)

Reason(s) for rejection: Sinohydro Corporation Limited had been temporarily suspended in accordance with the World Bank Sanctions Procedures, as of 04 December, 2013.

Name: „Jiangsu Jialong Engineering Construction Co.“ Ltd.

Bid price at bid opening: 76,792,598.00 GEL (including VAT)

Reason(s) for rejection: Invalid Bid Security

მიუხედავად ჩვენს გამოძიებაზე სახელისუფლებო არხების პასუხისა, რომ თითქოს სიმართლეს არ შეესაბამებოდა ჩვენი მტკიცება რომ სინოჰიდრო მსოფლიო ბანკს შავ სიაში ჰყავდა შეყვანილი, აგარა-ზემო ოსიაურის გზის მონაკვეთის მშენებლობის დროს გამოცხადებული ტენდერიდან სინოჰიდროს დისკვალიფიკაციის მიზეზად საქართველოს გზების დეპარტამენტს სწორედ მისი მსოფლიო ბანკის მიერ შავ სიაში შეყვანა მოჰყავს ერთადერთ არგუმენტად. იხილეთ საქართველოს გზების დეპარტამენტის შესაბამისი **დოკუმენტი.**

ჩვენ მოგიყვებით იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სინოჰიდრო მთელ მსოფლიოში, ხოლო დასკვნების გაკეთება და ხარისხიანია თუ არა მათი საქმიანობა თქვენთვის მოგვინდია.

ზევით შემოთავაზებულ ფაქტების გრაფიკულ სურათზეც კარგად ჩანს, რომ სწორედ მაშინ როდესაც, ერთი მხრივ, აფრიკის განვითარების ბანკი, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ბანკი სინოჰიდროს შავ სიაში შეყვანაზე მსჯელობდნენ, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი სხვადასხვა სახელმწიფოს სინოჰიდროს მიერ დაგებული მახიდან გამოყვანის გეგმებზე მსჯელობდა, ეს უკანასკნელი საქართველოში მორიგ კონტრაქტს აფორმებდა, კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღების იმედით.

ჩვენი ყურადღებაც სინოჰიდრომ სწორედ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშების შესწავლის შემდეგ მიიქცია, როდესაც შევიტყვეთ მისი კორუფციული მაქინაციები და თაღლითური კონტრაქტების შესახებ ზიმბაბვეში, კენიაში, უგანდაში, ზამბიასა და ბოცვანაში. შესაბამისად, აფრიკის განვითარების ბანკმა კომპანია **შავ სიაში** შეიყვანა და უარი თქვა მათი პროექტების დაფინანსებაზე.

მსოფლიო ბანკი აფრიკის განვითარების ბანკის პრაქტიკას გაჰყვა და სინოჰიდრო და ასევე ჩინეთის კომპანია „CAMC Engineering“ შავ სიაში შეიყვანა, აზიაშიც კორუფციულ გარიგებებში მხილების გამო.

ეს ძალიან მცირე მიმოხილვა ნათლად აჩვენებს საქართველოს მთავრობის უუნარობას საერთაშორისო სკანდალებში გახვეული კომპანიების მიმართ დიუ დილიჯენსის (Due diligence) განხორციელებაში. არასაკმარისი ინფორმირებულობა და ინდიფერენტული დამოკიდებულება მეტის ცოდნისადმი, იწვევს მათ უნებლიე ან წინასწარ განზრახულ მონაწილეობას უკანონო მოქმედებებში. გარდა ამისა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კორუმპირებულ გარიგებებსაც, რომელთა დაფარვას საქართველოს მთავრობა საერთაშორისო დონორებზე ამოფარებით ცდილობს.

წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს, საქართველოს მთავრობასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ ინფორმაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს.

სინოჰიდროს საერთაშორისო „რეპუტაცია“ ფაქტებით

მხოლოდ ფაქტებით, იხილეთ ძალიან მოკლედ სინოჰიდროს საერთაშორისო „გამოცდილებისა“ და რეპუტაციის შესახებ.

1996-2009 წწ. - მალაიზიის ბაკუნის კაშხლის მშენებლობა, უამრავი კონტრაქტორის ცვლილების შემდეგ, სინოჰიდროს ჩაბარდა. მალაიზიის მთავრობამ კომპანია ბევრ უზუსტობასა და უხარისხო მასალის გამოყენებაში დაადანაშაულა, თუმცა მისი საქმიანობის შეჩერების ნაცვლად, მასზე უკიდურესი ზეწოლა განახორციელა რომ 2009 წლამდე პროექტი შეფერხებების გარეშე **დაესრულებინა.**

2008 წ - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) ჩაერია კონგოსა და სინოჰიდროს შორის 9 მილიარდი დოლარის ვალის პირობების გადაწერაში, რადგან მსგავსი სესხის გაცემა ძალიან ძვირად და სახიფათოდ **მიიჩნია.**

2010 წ - სინოჰიდრო პირველად გამოჩნდა ქართულ ბაზარზე.

2011 წ - სინოჰიდრომ საქართველოში ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა (ლოტი I) **დაიწყო.**

2012 წ - **ბოცვანის მთავრობამ** შეწყვიტა სინოჰიდროსთან კონტრაქტი, რადგან ამ უკანასკნელმა ვერ დაასრულა Sir Seretse Khama-ს საერთაშორისო აეროპორტის (SSKIA) გაფართოება განსაზღვრულ დროსა და თანხაში.

2013 წ - მალიში, მდინარე სენეგალზე, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისას გამოვლენილი დარღვევების გამო, THE WORLD BANK მსოფლიო ბანკის სანქციების საბჭომ შიდა სანქცირების სისტემის მიხედვით, რომელიც „დროებითი შეჩერების“ (Early Temporary Suspension) სახელით არის ცნობილი, სინოჰიდროს გამოუცხადა **საყვედური.**

2014 წ - THE WORLD BANK მსოფლიო ბანკის გამომძიებლებმა სინოჰიდრო დაადანაშაულეს არალეგალურ **მაქინაციაში.**

2014 წ - სინოჰიდრომ საქართველოში თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო.

2015 წ - ჩრდ. მაკედონიის მაღალჩინოსნები ამხილეს კორუფციულ გარიგებებში, რადგან მათ ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინების გარეშე მოახდინეს სინოჰიდროსთვის **ორი მაგისტრალის** Miladinovci-Štip (47km)-ისა და Kichevo-Ohrid (57km)-ის პროექტის დამტკიცება.

2016 წ - THE WORLD BANK მსოფლიო ბანკმა კონგოში, მალიში, ფილიპინებსა და მალაიზიაში, ასევე აფრიკის ქვეყნებში თაღლითური და კორუფციული პრაქტიკის გამო Sinohydro Corporation Limited-ის სანქცირება **მოახდინა.**

2016 წ - სინოჰიდრომ საქართველოში **სამტრედია-გრიგოლეთის** გზის მშენებლობა (ლოტი II) დაიწყო.

2017 წ - IMF-მა თავის ანგარიშში დაგმო განასა და სინოჰიდროს შორის **გაფორმებული კონტრაქტი**, რომლის მიხედვით, სინოჰიდრო უზრუნველყოფს 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინფრასტრუქტურას განას რაფინირებული ალუმინის მადნების (ბოქსიტის) სანაცვლოდ. ეს გარიგება შეუსატყვისია IMF-ის მიერ დაწესებულ განას სესხის ლიმიტებთან და ითვლება არალეგალურ ქმედებად, რომელიც სინოჰიდროსა და განას მთავრობის ფინანსურ მაქინაციებზე მიგვითითებს.

2017 წ - ნიგერიის ენერგეტიკულმა კომპანიამ Sunrise Power and Transmission Company-მ შეიტანა **საარბიტრაჟო სარჩელი** სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ნიგერიის სახელმწიფოსა და მისი ჩინელი პარტნიორის, სინოჰიდროს წინააღმდეგ.

2017 წ - AfDB- ს მთლიანობისა და ანტიკორუფციული ოფისის მიერ ჩატარებულმა **გამოძიებამ** დაადგინა, რომ სინოჰიდრო აწარმოებდა თაღლითურ პრაქტიკას უგანდაში AfDB- ის მიერ დაფინანსებული საგზაო სექტორის მხარდაჭერის პროექტზე.

2017 წ - კენიის სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაციული განხილვის საბჭომ (PPARB) გააკრიტიკა ყოფილი წყლისა და ირიგაციის სამინისტროს მთავარი მდივნის, მვანგი ნდუატის გადაწყვეტილება, Sinohydro Tianjin Engineering Limited-სთვის კენიის Thwake კაშხლის მშენებლობის ხელშეკრულების გადაცემაზე.

2017 წ - სინოჰიდრომ საქართველოში **E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის** ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთის (ლოტი I) მშენებლობა დაიწყო.

2018 წ - ლივიუ დრაგნეას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რუმინეთმა სინოჰიდროსთან გააფორმა პირველი კონტრაქტი ბუქარესტის გზის სარტყელის პროექტთან დაკავშირებით. 2019-ში ლივიუ დრაგნეა კორუფციულ მაქინაციებში ამხილეს და **გაასამართლეს.**

2019 წ - მუშათა კავშირმა აღმოაჩინა, რომ სინოჰიდრო ჰუანგის მუნიციპალიტეტში, ზიმბაბვეში 1,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულებულების თბოელექტროსაგურის მშენებლობაზე, ადგილობრივი მუშების უფლებებს არღვევდა, ხოლო ადგილობრივი მთავრობა კი ამ საკითხზე თვალს ხუჭავდა.

2019 წ - სინოჰიდრომ შეწყვიტა **კაფუეს ხეობის** ჰიდროელექტრო კაშხლის მშენებლობა ზამბიაში, მაშინ როცა ზამბიამ 2015 წელს ამ პროექტის განხორციელებისთვის Exim ბანკისგან 2 მილიარდი დოლარი ისესხა.

2019 წ - 2020 წ. - სინოჰიდრომ საქართველოში ხულო-ზარზმის გზის 42 კმ-იან მონაკვეთის საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა.

ფინანსური ეტაპები საქართველოში



ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია „სინოჰიდრო“ მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს საქართველოში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სინოჰიდრო ქართულ ბაზარზე პირველად **2010 წლის 8 აპრილს** გამოჩნდა. ამის შემდეგ, მას საქართველოში ასობით მილიონი დოლარის ტენდერები აქვს მოგებული და ძირითადად მუშაობს გზების, ავტომაგისტრალებისა და ხიდების მშენებლობაზე.

კომპანიის მასშტაბურობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ 2019 წელს Forbes Georgia-მ გამოაქვეყნა საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანიის სია, რომელშიც სინოჰიდრო 10,365,775 ლარის მოგებით **62 ადგილზე** აღმოჩნდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიხედვით, სინოჰიდრო ახორციელებს ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა, ხიდებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობა.

- თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის **მშენებლობა**, ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა (**I-II ლოტები**),
- E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია–გრიგოლეთის გზის მონაკვეთის **მშენებლობა** (კმ 11+500 – კმ 30+000; ლოტი II),
- E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთის **სამშენებლო სამუშაოები** (კმ 0+000-კმ 5+800; ლოტი I და კმ 5+800- კმ 14+066; ლოტი II)
- ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი 1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 – კმ29+732; ლოტი 2 გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა კმ 0+000 - კმ 17+380) **სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო** სამუშაოები.

საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემებით, სინოჰიდრო 1 მილიარდი ლარის ოდენობის სახელმწიფო პროექტებს ახორციელებს.

სინოჰიდრო საქართველოში

ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია „სინოჰიდრო“ მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს საქართველოში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სინოჰიდრო ქართულ ბაზარზე პირველად **2010 წლის 8 აპრილს** გამოჩნდა. ამის შემდეგ, მას საქართველოში ასობით მილიონი დოლარის ტენდერები აქვს მოგებული და ძირითადად მუშაობს გზების, ავტომაგისტრალებისა და ხიდების მშენებლობაზე. კომპანიის მასშტაბურობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ 2019 წელს Forbes Georgia-მ გამოაქვეყნა საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანიის სია, რომელშიც სინოჰიდრო 10,365,775 ლარის მოგებით **62 ადგილზე** აღმოჩნდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიხედვით, სინოჰიდრო ახორციელებს ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა, თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის **მშენებლობა**, ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა **(I-II ლოტები)**, E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია–გრიგოლეთის გზის მონაკვეთის **მშენებლობა** (კმ 11+500 – კმ 30+000; ლოტი II), E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთის **სამშენებლო სამუშაოები** (კმ 0+000-კმ 5+800; ლოტი I და კმ 5+800- კმ 14+066; ლოტი II) და ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი 1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ5+195 – კმ29+732; ლოტი 2 გოდერძის უღელტეხილი - ზარზმა კმ 0+000 - კმ 17+380) **სარეაბილიტაციო - სარეკონსტრუქციო** სამუშაოები. ჯამში, საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემებით, სინოჰიდრო 1 მილიარდი ლარის ოდენობის სახელმწიფო პროექტებს ახორციელებს.

სინოჰიდროს პროექტები საქართველოში	დაწყების თარიღი	ღირებულება	დაფინანსების წყარო
ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა (I-II ლოტები)	2011 წ.	$76 833 000	ADB
თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია (I და III სექცია)	2014 წ.	$ 56 000 000	ADB
სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა(ლოტი II)	2016 წ.	$ 110 000 000	EIB/EU/EWHG/ CW/ICB-02
E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური–ჩუმათელეთის მონაკვეთი ლოტი I	2017 წ.	$ 50 000 000	EIB/EU
ხულო-ზარზმის გზის 42 კმ-იანი მონაკვეთი	2020 წ.	$ 29 000 000	არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდი

კანონმდებლობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომლობა

აუცილებლად ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ არცერთი ზემოთხსენებული პროექტის შესახებ ინფორმაცია, სატენდერო დოკუმენტაცია, შეთავაზებები, პრეტენდენტების შერჩევის პროცესი და შედეგები (მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება) არ არის საჯაროდ გამოქვეყნებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რომელიც წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალურ პორტალს. ეს უკანასკნელი, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფს ღიაობას, გამჭვირვალობასა და კონკურენტუნარიან გარემოს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად“:

> „კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა“.

ხოლო ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად:

> „შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

> „შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.“

წინამდებარე საკანონმდებლო დათქმის შესაბამისად, ყოველი კონკრეტული შესყიდვის ფარგლებში შემსყიდველმა თავად უნდა განსაზღვროს მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების სტანდარტი. მაგალითად, ელექტრონულ ტენდერში განცხადების ნომრით NAT200009873, რომელიც გამოცხადდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-8) ზუგდიდი - ანაკლიის საავტომობილო გზის კმ 3.5 - კმ 7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად და რომლის სავარაუდო ღირებულებაც 7,284,410.00 ლარი იყო, შემსყიდველმა - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრა, რომ პრეტენდენტს, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდსა და გამოცდილების არეალში, ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა ან არაუმეტეს 2 (ორი) შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 60%-ისა.

შემსყიდველი ტენდერში განცხადების ნომრით NAT200010468, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი მნიშვნელობის მარნეული-ლომთაგორა - ალგეთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 15,819,465.00 ლარი იყო, პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნად კვლავ განსაზღვრა პრეტენდენტს, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდსა და გამოცდილების არეალში, ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების არსებობა ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა ან არაუმეტეს 3 (სამი) შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების არანაკლებ 60%-ისა.



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე დაკვირვებით, თვალსაჩინოა, რომ შემსყიდველს თითქმის ყველა გამოცხადებულ ტენდერზე, რომელიც შეეხება გზის შეკეთების სამუშაოებს ან და

სხვა მთლიან ან ნაწილობრივ სამშენებლო სამუშაოებსა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებს, ტექნიკურ მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს ზემოთ მოყვანილი საკვალიფიკაციო სტანდარტები. თუმცა, ეს ტენდენცია არ განმეორდა და სრულიად განსხვავებული მიდგომები გვაქვს იმ ტენდერების ფარგლებში, რომლებიც კომპანია SINOHYDRO CORPORATION LIMITED-მა მოიგო.

სინოჰიდროს შვილობილი კომპანიები ქართულ ბაზარზე

გარდა ამისა, სინოჰიდროს ჰყავს ე.წ. შვილობილი კომპანიები, რომლებიც ასევე ოპერირებენ ქართულ ბაზარზე და აქტიურად ახორციელებენ სამშენებლო მასალების, ხელსაწყოებისა და სპეციტექნიკის იმპორტს. ესენი არიან: „გოლდენ სანი“, „ჰუჯესემ“, “სტარტ ლტდ.“, „ლსს. აურეა“ და „პარაგონი“. იხ. სკრინშოტები:

Consignee:	Sinohydro Corporation Limted Branch in Georgia
Address:	No.11,Lomonosovi Street,0160 Tbilisi,Georgia
Tel / Fax :	00995-599132990
Notify Party:	Sun Lin
Shipper:	xinjiang Baier International Trade Co.LTD
Address:	office at B-777 and NO.9 Building,xiku Reservoir Area,876 North Dawan Road,Tianshan
Tel / Fax :	+86 1382186144

Tel / Fax :	+86 1382186144
Consignee:	LLC AUREA ID:402108919
Address:	N80/34 Iv. Javakhishvili str., Tbilisi, Georgia
Tel / Fax :	+995551373588 +995551399944

Marks&No	Article&Specification	Model	Trade name

Address:	8S# DESVOEUX ROAD CENTRAL HONGKONG
Tel / Fax :	+8613821861443
Consignee:	START LTD
Address:	ATENT STR 18#A TBILISI ,GEORGIA
Tel / Fax :	+995599132990 +995599000000

Export

Marks&No	Article&Specification	Model	Trade name	Quangtity
1	水箱	120L 12KW 380V	Dringing water tank	
2	水箱配件	-	Cistern fittings	

როგორც მოცემული ფოტოებიდან ჩანს, ამ კომპანიებს მითითებული აქვთ საერთო საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, რაც მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე მიგვითითებს.

LLC AUREA-ს დირექტორი და 100% წილის მფლობელი ალექსანდრე ლიჩელი, 2014 წელს შპს ჯორჯია კონსტრუკტიონ კო-ს (445444591) დირექტორი და **100%-ის მეწილე** იყო. 2015 წელს ეს კომპანია ჰონგ ჩენს გადაეცა.

ჯერჯერობით საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ არ მოიპოვება, თუმცა სამოქალაქო იდეა განაგრძობს დაკვირვებას მათ საქმიანობაზე.

სინოჰიდრო და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები

2013 წლის 20 დეკემბერსა და **2014 წლის** 16 ივნისს, საქართველოს მთავრობამ უფლება მისცა სინოჰიდროს, განსაზღვრული წიაღისეული მოეპოვებინა, ხელისუფლების მიერ დადგენილ ტერიტორიაზე.

საქართველოს მთავრობის
განკარგულება №1074
2014 წლის 16 ივნისი
ქ. თბილისი

ზემო-ის „კონსორციალი სანიაღვრის ფიზიკალი საქართველოში“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ათვისება

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების ათვისების საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7¹ მუხლის საფუძველზე, სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიების გათვალისწინებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ქობულეთის ზღვისპირა სანაპიროზე ქარის ენერგეტიკული სადგურის ტერიტორიაზე, ზემო-ის „კონსორციალი სანიაღვრის ფიზიკალი საქართველოში“ (ს/კ 404891122) განსაკუთრებული სანიაღვრის ნაწილის ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ათვისების

უფრო მეტიც, ინერტული მასალების და ხრეშის ამოღებამ ტერიტორიის დატბორვა და სასოფლო-სამეურნეო მიწების განადგურება გამოიწვია, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა ფინანსურად დააზარალა. **გზების დეპარტამენტმა** კი ზარალის ანაზღაურება არც სინოჰიდროს მოსთხოვა და არც თავად მოახდინა. ხოლო რაც შეეხება რუსთავში ხის ჭრას, თავიდან ამ საკითხზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მოგვიანებით კი სასამართლოს განჩინებით სინოჰიდროს **5,500 ხის დარგვა დაევალა** და ამ საკითხზე სასამართლო განხილვა შეწყდა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი იუწყება, რომ სინოჰიდრომ ხეები ნამდვილად დარგო. მიუხედავად ამისა, უცნობია ამ ხეების დარგვის ადგილმდებარეობა ან მათი ამჟამინდელი მდგომარეობა.

2018 წლიდან ამ საკითხზე სხვადასხვა ორგანიზაციები და მედია საშუალებები იუწყებიან, რომ „ჩინური „სინოჰიდრო“ გზების მშენებლობისას უხეშად **არღვევს** საქართველოს კანონმდებლობას გარემოს დაცვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სისტემატურად ჯარიმდება გარემოს დაცვის სააგენტოს მხრიდან, არ იხდის დაკისრებულ ჯარიმებს და არ ასწორებს დარღვევებს... თავს არიდებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებებს და ინერტული მასალების მოპოვების პოლიგონზე, არ ახდენს მოსახლეობის კუთვნილი ყანებისა და საძოვრების რეკულტივაციას. ულუკმაპუროდ ტოვებს გზის გასწვრივ მცხოვრებ ოჯახებს და შიმშილისთვის იმეტებს ადგილობრივ მოსახლეობას."-ვკითხულობთ ერთ-ერთ დასკვნაში.

სინოჰიდრო და შრომითი უფლებების დარღვევა

გარდა იმ ზიანისა, რომელსაც გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობას აყენებს, სინოჰიდრო ადგილობრივ კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებებსაც არღვევს. საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომპანია სინოჰიდრო პრაქტიკულად უკანონოდ მუშაობდა სამტრედია-გრიგოლეთის გზატკეცილის მშენებლობაზე. არალეგალურობაში იგულისხმება, რომ სინოჰიდროს ოფიციალურად არ მოუთხოვია სავალდებულო ნებართვა ან ექსპერტიზა კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებისგან. გარდა ამისა, სინოჰიდროს აქვს სისტემატიური პრობლემები, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ **წინააღმდეგობაში მოდის** შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებთან და პროცედურებთან. კერძოდ, დასაქმებულები არ გადიან პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას, არ აქვთ პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები, არ არის უზრუნველყოფილი სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოება, მძიმე ტექნიკა არ აქვთ სრულად გამართული, დასაქმებულებს არ აქვთ სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ტერიტორია არ არის დასუფთავებული **და სხვა.** აქედან გამომდინარე, სინოჰიდრო მრავალი სახის დარღვევებით ახორციელებს მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოში.

Due Diligence-ის პრობლემა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში

2018 წელს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, აწ უკვე ყოფილი უფროსი, გიორგი სეთურიძე (რომელიც პარალელურად სატენდერო კომისიის წევრი იყო) აღნიშნავდა, რომ სინოჰიდროსთან გაფორმებული კონტრაქტები საერთაშორისოა და არ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის რეგულაციებს. შესაბამისად, კომპანიის ტენდერებიდან დაბლოკვა **არ განიხილებოდა,** ვინაიდან ამის შესახებ საერთაშორისო დონორები იღებდნენ გადაწყვეტილებას და არა კონკრეტულად გზების დეპარტამენტი. იმავე წელს, მინისტრის ცვლილებასთან ერთად სეთურიძე თანამდებობიდან გადადგა. სეთურიძეს მედიასთან არ უღიარებია, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ის, ტენდერების მომგებ ჩინურ კერძო კომპანიაში მაღალ თანამდებობაზე გადასულიყო. თანამდებობის დატოვების შემდეგაც, **სეთურიძე ირწმუნებოდა**, რომ სინოჰიდრო ყველა პროექტს ხარისხიანად დაასრულებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული სანქციებისა თუ აკრძალ-

ვების მიუხედავად, სინოჰიდროს საქართველოში მაინც აქტიურად ენიჭებოდა ახალი კონტრაქტები. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე თვის წინ, სინოჰიდრომ **96 მილიონიანი** ზარზმა-ხულოს გზის მეორე მონაკვეთის პროექტის ტენდერში გაიმარჯვა. ამის შესახებ 2020 წლის 11 აგვისტოს **"Construction Europe"** იუწყებოდა, მაშინ როცა საქართველოში არცერთ ოფიციალურ გვერდზე მსგავსი ინფორმაცია არ იძებნება. ხულო-ზარზმის განახლებული გზა, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარის რეგიონებს დააკავშირებს. პროექტს არაბეთის ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდი აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ მასზე საერთაშორისო ტენდერი განმეორებით გამოცხადდა, რადგან შერჩეულ კონტრაქტორ კომპანია **„ტოდინთან"** ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყდა. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი სინოჰიდროს ახალი პროექტის დამტკიცებისთვის.

სინოჰიდროს საერთაშორისო „მაღალი რეპუტაციის" მაგალითები

სინოჰიდრო, აფრიკის მაგალითები

ჩინური კომპანია სინოჰიდრო, რომელიც ერთ-ე-რთია იმ რეპუტაცია შელახულ კომპანიებს შორის (ჩინეთის რკინიგზის 23–ე ბიუროს ჯგუფი & ჩინეთის რკინიგზის მშენებლობასთან ერთად), რომლებიც ფინანსური მაქინაციების გამო მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაბლოკეს, დღემდე აქტიურად, თუმცა უამრავი დარღვევით ოპერირებს საქართველოში. მსოფლიო ბანკის მიხედვით, კორუფციულ გარიგებებთან ერთად, ამ კომპანიებმა არასწორად წარმოადგინეს ფაქტები საკუთარი პერსონალის, აღჭურვილობისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ გზატკეცილის მშენებლობის ხელშეკრულების წინასწარ საკვალიფიკაციო და სატენდერო დოკუმენტაციებში, როგორც აზიის ქვეყნების (ფილიპინებისა და მალაიზიის), ისე აფრიკის მასშტაბით(განა და ზიმბაბვე). ქვევით განვიხილავთ განასა და ზიმბაბვეს მაგალითებს, იმის გასარკვევად, თუ რას ედავებიან მსოფლიოს საფინანსო ინსტიტუტები კონკრეტულად სინოჰიდროს.

განა

განას მთავრობამ 2018 წელს სინოჰიდროსთან სტრატეგიული მხარდაჭერის ხელშეკრულება (Master Project Support Agreement (MPSA)) გააფორმა, რომლის მიხედვით, ეს უკანასკნელი განაში უზრუნველყოფს 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინფრასტრუქტურას (გზების, ხიდების, საავადმყოფოების, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის და სხვა ინფრასტრუქტურის ჩათვლით) განას რაფინირებული **ალუმინის მადნების** (ბოქსიტის) სანაცვლოდ. ხელშეკრულების თანახმად, განას ინტეგრირებული ალუმინის განვითარების კორპორაციას (GIADC) უნდა ჩამოეყალიბებინა **ოფშორული**, პირობითად დეპონირებული ანგარიში ბოქსიტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისთვის, რომელზე დარიცხული თანხაც ექსკლუზიურად სინოჰიდროსთვის იქნება განკუთვნილი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით, აცხადებს, რომ ეს გარიგება შეუსატყვისია IMF-ის მიერ დაწესებულ განას სესხის ლიმიტებთან და ითვლება არალეგალურ ქმედებად, რომელიც სინოჰიდროსა და განას მთავრობის შესაძლო ფინანსურ მაქინაციებზე მიგვითითებს. ამის საპასუხოდ, განას ფინანსთა მინისტრმა 2018 წლის 19 ივნისს პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ „სინოჰიდროსთან ფინანსური გარიგება არ გულისხმობს სახელმწიფო ვალის მარაგის გაზრდას, რადგან ეს არის მხოლოდ ბარტერული გარიგება და არა სესხი. "შესაბამისად, მათ უარყვეს IMF-სა და მსოფლიო ბანკის შენიშვნები. 2017 წელს IMF-მა გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც მთლიანად დაეთმო განას აღნიშნა:

“არასაბიუჯეტო ოპერაციები, მათ შორის ESLA, Sinohydro და GETFund, ხელს უწყობს სახელმწიფო ვალის ზრდას, ხოლო მათი დეცენტრალიზებული და არა-გამჭვირვალე ბუნება/ხასიათი ართულებს საჯარო დაფინანსების ზედამხედველობასა და მართვას, ასევე ზრდის კორუფციის მასშტაბებს.“

“Off-budget operations, including ESLA, Sinohydro, and GETFund, contribute to public debt but their decentralized and not always transparent nature complicates oversight and management of public financing, raising the scope for corruption.”

(IMF Country Report No. 19/367, Ghana, Dec 2017, Page 13)

2019 წელს განას ფინანსთა მინისტრმა კვესი ამოაკო-ატტამ განაცხადა, რომ 2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ვალი, რომელიც სინოჰიდრომ განაში არსებულ 62 პროექტში დააბანდა, მთლიანად **გასტუმრებულია** ბოქსიტის საბადოების სანაცვლოდ. ხოლო რაც შეეხება მოცემულ 62 პროექტს, ბატონი ამოაკო-ატტა ირწმუნება, რომ 2020 წლისთვის დასრულდება. პეკინმა თანხის პირველი ნაწილი (649 მილიონი აშშ დოლარი) 2019 წლის ნოემბერში უკვე **გასცა.** IMF-ის 2019 წლის ანგარიშში განას შესახებ, აღნიშნულია:

„საჭიროა, რომ სინოჰიდროსთან დაგეგმილი ოპერაცია სწორად იქნას შემუშავებული და მართული, რათა მოხდეს განასთვის მნიშვნელოვანი ვალდებულებების და რესურსებთან დაკავშირებული დაბრკოლებების თავიდან აცილება, რამაც შემდგომში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ვალის მდგრადობაზე. მთლიანობაში, გამჭვირვალობა და ღირებულების სწორი შეფასება საფუძვლად უნდა დაედოს ინვესტიციების დაგეგმვას.“

„The planned operation with Sinohydro needs to be properly designed and managed to avoid significant obligations for Ghana and encumbrance of resource assets which could adversely affect debt sustainability. More generally transparency and careful value for money assessments need to underpin planning of debt-financed investments.“

(IMF Country Report No. 19/97, Ghana, Apr 2019, Page 28)

ფარული ვალები “Hidden Debt”

აღსანიშნავია ისიც, რომ განა არ არის ჩინეთის ერთადერთი მოვალე. ეს პრობლემა მსოფლიოს მასშტაბით ბევრ სახელმწიფოს შეექმნა. ფაქტობრივად ჩინეთი მსოფლიო კრედიტორი/მსესხებელი გახდა, რომლის ფინანსური პრეტენზიებიც უკვე გლობალური **მშპ-ს 5%-ს აჭარბებს**. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პეკინი სესხს ძირითადად განვითარებად სახელმწიფოებს აწვდის, რაც მათ პროცესების გაუმჭვირვალედ მართვისთვის მეტ შესაძლებლობას აძლევს, ვინაიდან თავად მოვალე ქვეყნებიც კი არ აწარმოებენ მონაცემთა შეგროვებას იმ ადგილობრივ კომპანიებზე, რომლებიც ჩინეთის სესხების ძირითადი მიმღებნი არიან. ამ ქმედებებმა გააჩინა ე.წ. ფარული ვალის „Hidden debt” პრობლემა და როგორც IMF-ს ანგარიშშიც აისახა, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ცალკეულ სახელმწიფოებს უჭირთ მოცემული ფინანსური მაქინაციების კონტროლი და მონიტორინგი.

განას მაგალითს თუ მივყვებით აღმოვაჩენთ, რომ ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა, ჯიბუტი, ტონგა, მალდივი, კონგოს რესპუბლიკა, ყირგიზეთი, კამბოჯა, ნიგერია, ლაოსი, ზამბია, სამოა, ვანუატუ და მონღოლეთი (და შესაძლოა მრავალი სხვაც), ნომინალური მშპ-ს 20%-ის ოდენობის ვალი აქვთ ჩინეთისთვის გასასტუმრებელი.

ისმის კითხვა, თუ რატომ არის თავად IMF დაინტერესებული ისეთი ალტერნატიული კრედიტორით, როგორიცაა ჩინეთი?

პირველ რიგში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სასესხო პოლიტიკა არის გამჭვირვალე და ის ჩვეულებრივ გამოწვეულია ეროვნული პოლიტიკის გაუმჯობესების გეგმით. ხოლო ჩინეთის სესხები ძირითადად ბუნდოვანია და უამრავ კითხვას ბადებს თავად მოვალეებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თუ ჩინეთის წინაშე ვალდებული სახელმწიფო მიმართავს სავალუტო ფონდს, ოფიციალურმა პირებმა უნდა იცოდნენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ოფიციალური კრედიტორის, ჩინეთის ვალების დასაფარად, და არა შიდა საბაზრო ნაკლოვანებების შესამცირებლად.

ზიმბაბვე

2019 წლის დასაწყისში, სინოჰიდროს კორპორაციამ ზიმბაბვეს ენერგო კომპანიასთან (ZPC) მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ჰუანგის მუნიციპალიტეტში 1,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულებულების თბოელექტროსაგურის მშენებლობაზე. თავად ZPC წარმოადგენს საჯარო სექტორის საწარმოს, ზიმბაბვეს ელექტროენერგიის მიწოდების ორგანოს (ZESA) შვილობილ კომპანიას. ზიმბაბვეს მშენებლობისა და მრეწველობის მუშათა კავშირის (Zcatwu) წერილებიდან, მუშათა ჩვენებებიდან და სხვა ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროექტის მსვლელობისას, რომელშიც 400-მდე ადგილობრივი გამოუცდელი მუშა იყო დასაქმებული, ადგილი ჰქონდა მათ დამცირებას, შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას სინოჰიდროს ჩინელი თანამშრომლების მხრიდან, რაზეც ზიმბაბვეს მთავრობა საეჭვოდ ხუჭავდა თვალს. მათი **საჩივრები** ასევე მოიცავდა: ხელფასების არასრულ ანაზღაურებას, დაუმტკიცებელი ხელშეკრულების ფორმების გამოყენებას, დამცავი ტანსაცმლის არარსებობას, თანამშრომლების არასათანადო დათხოვნას, არასათანადო შეფასებას, მენეჯმენტის მიზანმიმართულ ძალისხმევას სინოჰიდროში მუშაკთა ფსევდო წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნისთვის. დასაქმებულთა უმრავლესობა, რომლებიც ერთ წელზე მეტია რაც ჩაერთვნენ პროექტში, მუშაობენ სამ თვიან კონტრაქტებზე, რომლებსაც, ადგილობრივი შრომითი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ანახლებენ.

თუმცა მთავრობის მიერ მხარდაჭერილმა კომპანიამ ZPC-მ მათ საერთოდ აუკრძალა ამ საკითხზე მუშაობა.

ოფიციალურად სინოჰიდრო მსოფლიო ბანკმა 2016 წელს დაბლოკა, რასაც ადასტურებს 2016 წლის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფისკალური ანგარიში:

OTHER SANCTIONS IMPOSED IN FY16

	Entity Name/Individual	Country	Sanction Imposed	Grounds
1.	M/s. GVR Infra Projects Ltd.	India	Private Letter of Reprimand	Fraudulent Practice
2.	Pöyry Switzerland Ltd.	Switzerland	Letter of Reprimand	Fraudulent Practices
3.	Sinohydro Corporation Limited	China	Letter of Reprimand	Fraudulent Practices

ANNUAL UPDATE INTEGRITY VICE PRESIDENCY (INT) 37

მოცემულ სურათზე ნაჩვენებია, რომ Sinohydro Corporation Limited სანქცირებულია თაღლითური პრაქტიკის გამო 2016 წელს. (The World Bank Group, Annual Report, INTEGRITY VICE PRESIDENCY (INT), Fiscal Year 2016, page 37). აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული პროექტების გარდა, მსოფლიო ბანკმა სინოჰიდროსთან დაკავშირებული თაღლითური პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოავლინა, რაც საფუძვლად დაედო ამ კომპანიის სანქცირებას.

კონგოს დემოკრატიულ სახელმწიფოსა და მალიში (მდინარე სენეგალზე), სინოჰიდრო ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებულ პროექტებს აფინანსებდა და კორუფციულ გარიგებებში იყო ეჭვმიტანილი.

სინოჰიდრო ჩართული იყო თაღლითურ მაქინაციებში ფილიპინებსა და მალაიზიაში.

რას გულისხმობს თაღლითური პრაქტიკა?

როგორც მსოფლიო ბანკის 2019 წლის ყოველწლიური ფისკალური ანგარიშიდან ირკვევა, მსოფლიო ბანკი სანქცირების ზომებს მხოლოდ იმ შემთხვევებში მიმართავს: 1) როდესაც ვლინდება **კორუფციული პრაქტიკა**, სხვადასხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, რაიმე ფასეულობის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან შუამდგომლობა. 2) **თაღლითური პრაქტიკა**- ნებისმიერი მოქმედება ან დაუდევრობა, მათ შორის არასწორად წარმოდგენა, რომ შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეიყვანოს მხარე, მიიღოს ფინანსური ან სხვა სარგებელი, ან აარიდოს თავი ვალდებულებას. 3) **იძულებითი პრაქ-**

ტიკა - როდესაც აშინებს ან ზიანს აყენებს, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, რომელიმე მხარეს ან მხარის ქონებას. 4) **შეთქმულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა** - ორ ან მეტ მხარეს შორის შეთანხმება, რომელიც შექმნილია არასწორი მიზნის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასწორად მოქმედებაზე ზემოქმედების ჩათვლით. 5) **ობსტრუქციული პრაქტიკა**- განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა, ან მტკიცებულებათა მასალების დამალვა გამოძიებისთვის ან გამომძიებლებისთვის ყალბი განცხადებების გაკეთება ან / და მუქარა, შევიწროება ან დაშინება რომელიმე მხარისგან, ასევე ისეთი მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს მსოფლიო ბანკის აუდიტის ან ხელშეკრულების უფლების განხორციელებას.

(World Bank Group, Sanctions System Annual Report FY19, 2019, page 9).

სინოჰიდრო ლათინურ ამერიკაში

ეკვადორი

სინოჰიდრო თავის სკანდალურ ბიზნეს საქმიანობას ლათინურ ამერიკაშიც აქტიურად ეწევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკვადორის პრაქტიკა, რომლის მთავარი ფინანსური წყაროც სწორედ ჩინეთია. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ 2015 წელს ეკვადორი ოფიციალურად აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) პირველი წევრი სახელმწიფო იყო ლათინური ამერიკიდან, რომელსაც ჩინეთის მთავრობა აკონტროლებს.

პაულინა გარზანი, ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის ჩინეთ-ლათინური ამერიკის მდგრადი ინვესტიციის ინიციატივის (CLASII) დირექტორი, აცხადებს, რომ ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავების ნაცვლად, ეკვადორმა უნდა ისწავლოს გაკვეთილი და დასკვნები გამოიტანოს ჩინეთის მიერ დაფინანსებული წარუმატებელი პროექტებისგან. ერთ-ერთ ასეთ პროექტს წარმოადგენს ცნობილი „Coca Codo Sinclair“ ჰიდროელექტროსადგური აღმოსავლეთ ეკვადორში, რომელსაც სწორედ სინოჰიდრო ხელმძღვანელობს. პროექტის ინიცირება 2010 წელს მოხდა და მისი ბიუჯეტი 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. ეს იყო პროექტი, რომელმაც ქვეყანაში კორუფცია წაახალისა, სესხის დიდი რაოდენობით დაგროვებას შეუწყო ხელი და ეკვადორი ოფიციალურად ჩინეთზე დამოკიდებული გახადა.

კაშხლის მშენებლობაში ჩართული თითქმის ყველა ეკვადორელი მაღალი თანამდებობის პირი პატიმრობაში იმყოფება ქრთამის აღების ბრალდებით, მათ შორის ეკვადორის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, ელექტროენერგიის ყოფილი მინისტრი და ანტიკორუფციულ საკითხებში პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონიტორინგს უწევდა პროექტს და რომლის ჩანაწერიც, სადაც ჩინური კომპანიისგან **ქრთამის აღებაზე** საუბრობდა, გასაჯაროვდა. ეკვადორული გაზეთი El Universal წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ არ გაასაჯაროვა ჩინეთის მიმართ ეკვადორის სესხის ოდენობა, ირკვევა, რომ 2010 -2017 წლებში ჯამში 11 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოვიდა ჩინეთის საკრედიტო ინსტიტუტებისაგან. ხოლო 2018 წლის მონაცემებით კი ვალი 18 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა. ეს არის ნათელი მაგალითი ზემოთ ნახსენები „hidden debt"-ისა, როდესაც სახელმწიფო მალავს ჩინეთის ინვესტიციებით დაგროვებულ **მილიარდობით ვალს** და უკვე მოგვიანებით ირკვევა, რომ დაგროვილი ვალის გამო, ეკვადორებელი იძულებულნი არიან, რომ ყველა მნიშვნელოვან პროექტზე ჩინეთის კომპანიები იქირაონ. გარდა ამისა, მევალე ჩინეთს მიეცა ეკვადორის ნავთობის 80% ექსპორტის დიდი ფასდაკლებით მიღების საშუალება, რომელსაც ეს უკანასკნელი, შემდგომ დამატებითი მოგებისთვის, ორმაგ ფასში ყიდის. ფაქტობრივად, ეკვადორი ჩინეთთან გაფორმებული კონტრაქტების გამოსყიდვას არა დოლარებით, არამედ ნავთობის საშუალებით ახდენს. ჩინეთის ვალების გასასტუმრებლად, საკმარისი ნავთობის ამოტუმბვა ეკვადორისთვის იმდენად აუცილებელი გახდა, რომ ის იძულებულია ამაზონის ფლორასა და ფაუნას საფრთხე შეუქმნას. გარდა ამისა, ეკვადორის ხელისუფლება იძულებული გახდა, შეემცირებინა სოციალური ხარჯები, ბენზინის სუბსიდიები, გაეუქმებინა რამდენიმე სამთავრობო უწყება და 1000–ზე მეტი საჯარო სამსახური.

სინოჰიდროს მიერ გამოსყიდული ბრაზილიის Odebrecht-ის პროექტები

მსგავსი პრეცენდენტის არსებობას, სინოჰიდროსთვის ხელი არ შეუშლია, რომ ლათინურ ამერიკაში სხვა ახალი პროექტების წამოწყებაში მიეღო მონაწილეობა.

2016 წელს, ბრაზილიის სამშენებლო კონგლომერატმა სახელწოდებით Odebrecht S.A. 800 მილიონი აშშ დოლარით სამხრეთ ამერიკის ქვეყნების (კერძოდ, ბრაზილიის, პერუსა და ეკვადორის) მაღალჩინოსნები მოისყიდა და ასე გაითქვა სახელი მთელი კონტინენტის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიის ჩანაცვლებით ჩინეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ინჟინერიის, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორები შეეცადნენ მისივე კონტრაქტების შენარჩუნებას. ეს ფაქტი მხარეებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირებზე მიუთითებდა. EPC კონტრაქტორები ჩინეთის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი ჩინური კომპანიებია, რომელთა რიცხვში სინოჰიდროც შედის. მათი თანამშრომლობის ბევრი ნათელი **მაგალითი** არსებობს ლათინური ამერიკის მასშტაბით: 1) კოლუმბიაში Odebrecht-სა და Colombia's Valorcon-ის მიერ ჩამოყალიბებული Navelena-ა კონსორციუმი ითვალისწინებდა 916 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მდინარე მაგდალენას უწყვეტ ნავიგაციასთან დაკავშირებულ პროექტს, რომელმაც Odebrecht-ის სკანდალთან ერთად კრახი განიცადა. თუმცა, პროექტის გადასარჩენად ასპარეზზე სინოჰიდრო გამოჩნდა. 2) პერუში ჩინეთის Three Gorges Corporation კონსორციუმმა შეძლო Odebrecht-ისგან ჩაგლას ჰიდროელექტროსადგურის გამოსყიდვა 1.39 მილიარდ დოლარად. 3) დომინიკის რესპუბლიკაში 2017 წელს პრეზიდენტმა დანილო მედინამ გამოაცხადა ხელახალი ტენდერი ინვესტორებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ Punta Catalina ნახშირ-საწვავი ელექტროსადგურით (რომელიც 2013 წლის ტენდე-

რით Odebrecht-ს გადაეცა). მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ China Gezhouba Group-მა გაიმარჯვა ტენდერში. 4) ანგოლაში მთავრობამ Odebrecht-სთვის განკუთვნილი Prais do Bispo-სა და Corimba- ს დამაკავშირებელი მაგისტრალი, გადასცა China Railway 20 Bureau Group-ს მშენებლობისთვის.

ზემოთ მოცემული მაგალითები ერთი მხრივ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ მზარდ ინტერესზე, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოების ჩინეთის მიმართ მზარდ ვალებზე მიგვითითებს, რაც რეალურად მათ ეკონომიკურ განვითარებას საგრძნობლად აფერხებს.

სინოჰიდროს საქმიანობა ჩინეთის ყოფილ მოკავშირე სახელმწიფოებში

სინოჰიდრო ჩრდილოეთ მაკედონიაში

სინოჰიდრო „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ფარგლებში აქტიურად ახორციელებს კორუფციულ საქმიანობასა და ვალების “Debt Trap” პოლიტიკას დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. ჩინური ვალების ოდენობის მხრივ, განსაკუთრებულად სავალალო მდგომარეობა ჩრდილოეთ მაკედონიაში შეინიშნება. 2013 წელს სინოჰიდრომ ჩრდილოეთ მაკედონიის მთავრობასთან ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი **ორი გზატკეცილის**, Miladinovci-Štip (47km)-ისა და Kichevo-Ohrid (57km)-ის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკისგან (the Chinese Export Import Bank იგივე Exim Bank) 638 მილიონი ევროს ოდენობის სესხის აღებას, ხოლო გზატკეცილების მშენებლობა კი 2018 წელს უნდა დასრულებულიყო. რეალურად მოცემულ ვადაში მხოლოდ სამუშაოების ნაწილი შესრულდა. კერძოდ, 2019 წლის 6 ივლისს Miladinovci-Štip 47 კმ-იანი გზატკეცილის, რომელიც დედაქალაქ სკოპიეს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილთან აკავშირებს, გახსნის ოფიციალური ცერემონია ჩატარდა. ხოლო მეორე ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების საბოლოო ვადამ 2021 წლისთვის გადაიწია, ამ ხელშეკრულების საერთო ღირებულება კი 180 მილიონი ევროთი გაიზარდა.

მეორე დაუსრულებელ პროექტს Kichevo-Ohrid-ის გზატკეცილი წარმოადგენს, რომელსაც დედაქალაქი სკოპიე ტურისტულ ზონა-ქალაქ ოჰრიდთან უნდა დაეკავშირებინა და რომელიც წლების განმავლობაში ჩრდ. მაკედონიის მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენდა. დასავლელმა ინვესტორებმა და ფინანსურმა ინსტიტუციებმა ტერიტორიაზე მანქანების სიხშირისა და მისი მთიანი რელიეფის გამო, რაც მშენებლობას ნაკლებად ეფექტურს და მომგებიანს ხდიდა, უარი განაცხადეს პროექტის დაფინანსებაზე. მიუხედავად ამისა, ასპარეზზე ჩინეთის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი Exim Bank გამოჩნდა, რომელმაც დაფინანსების სურვილი გამოთქვა და ამავდროულად, დაავალდებულა ჩრდ. მაკედონიის მთავრობა, რომ კონტრაქტორად ჩინეთის მთავრობის მიერ კონტროლირებული ჩინური კომპანია უნდა შეერჩია. შესაბამისად, მთავრობამ, მისი უკვე მრავალჯერ შელახული რეპუტაციის მიუხედავად, სინოჰიდრო აირჩია და ამით დაარღვია ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესატყვისობაში მყოფი ეროვნული კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც მომწოდებელი კომპანიების გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებას ითვალისწინებდა. სწორედ ამ ფაქტს 2015 წელს **შეეწირა** ჩრდ. მაკედონიის

პრემიერ მინისტრის ნიკოლა გრუევსკის, მისი მოადგილის ეკონომიკურ საკითხებში ვლადიმირ პეშევსკის, ტრანსპორტის მინისტრ მილე ჯანაკიესკის და მაკედონიის სახელმწიფო გზების საზოგადოებრივი საწარმოს (PESR) დირექტორის ლუპჩო გეორგიევსკის თანამდებობები. ისინი კორუფციულ მაქინაციებში ამხილეს, რაც მათ სამართლებრივ პასუხისგებას ითვალისწინებდა. მაღალჩინოსნებს ბრალი წაუყენეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, რაც გულისხმობდა ეროვნული ბიუჯეტიდან 155 მილიონი ევროს ოდენობის სახსრების პირადი სარგებლობისთვის გამოყენებას. უფრო მეტიც, მათ China International Water & Electric Corporation (CWE)-ს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მართული სინოჰიდრო ამჯობინეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს კონკურენტ კომპანიასთან შედარებით გაცილებით მაღალი ფასები ჰქონდა დაწესებული გარკვეულ მასალაზე (საქონელზე). 2015 წელსვე, იმდროინდელი ოპოზიციური პარტიის „მაკედონიის სოციალ-დემოკრატიული კავშირის“ ლიდერმა, ზოან ზაევმა გაასაჯაროვა მაღალჩინოსნების 38 აუდიოჩანაწერი, სადაც პრემიერი გრუევსკი და ტრანსპორტის მინისტრი ჯანაკიესკი განიხილავდნენ, თუ როგორ უნდა აეღოთ **25 მილიონი ევროს ოდენობის ქრთამი** სინოჰიდროსგან პირდაპირი გზით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ორივე მაგისტრალზე ორაზროვანი "ტექნიკური სირთულეები" შეიქმნა, რის შედეგადაც მოხდა გარკვეული შეფერხებები და ფასების ზრდა. ბალკანეთის ქვეყნებს შორის ჩრდილოეთ მაკედონიის შემთხვევა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაგალითს იმისა, თუ რაოდენ კოორდინირებულად მოქმედებდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი Exim ბანკი და ამავე ხელისუფლების მიერ მართული კომპანია სინოჰიდრო და რა მძიმე პრობლემების წინაშე დააყენეს სახელმწიფო, რომელსაც აღებული ვალის გასტუმრება მომდევნო წლების განმავლობაში სისტემატიურად მოუწევს.

ჩინეთის “Debt Trap” პოლიტიკა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში

ჩრდილოეთ მაკედონია რეგიონში ჩინეთის ვალების მახის (Debt Trap) პოლიტიკის ერთადერთი მსხვეპლი ნამდვილად არ არის. Exim ბანკისა და სხვადასხვა სახელმწიფო სამშენებლო კომპანიების წყალობით, მონტენეგროს, სერბეთსა და ბოსნია-ჰერცოგოვინის რესპუბლიკასაც ჩინეთის ვალები დიდი რაოდენობით დაუგროვდათ. **ბოსნია და ჰერცოგოვინაში** პეკინი ძირითადად 870 მილიონი ევროს ოდენობის ლიგნიტის ელექტროსადგურების პროექტებითაა დაკავებული, ჩინური კომპანიები სერბეთში 5.5 მილიარდი ევროს ღირებულების სარკინიგზო პროექტებსა და ავტომაგისტრალებს აშენებენ, ხოლო **მონტენეგროს** 1 მილიარდი ევროს ღირებულების Exim ბანკის ვალი აქვს, რაც სერბეთის საზღვართან არსებულ მონტენეგრო-სერბეთის ავტომაგისტრალის პროექტთან ასოცირდება. ამის პარალელურად ბალკანეთის ქვეყნებისთვის, ისევე როგორც ევროკავშირისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოთა **ევროკავშირში გაწევრიანება.** ამ დრომდე ევროკავშირი რეგიონში მთავარ უცხოურ პარტნიორად და საგარეო პოლიტიკის ძირითადად ფაქტორად ითვლებოდა. თუმცა, ბოლო ათწლეულში ჩინური ვალების ზრდასთან ერთად ეს ტენდენციებიც შეიცვალა. ჩინეთის როლის ზრდა საფრთხეს უქმნის დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოების ევროკავშირში გაერთიანებას და ერთიანი „ევროპული ოჯახის“ ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ამჯერად ევროკავშირის გადასაწყვეტია დაეხმარება თუ არა დასავლეთ ბალკანეთს ჩინეთის ფინანსური მახისგან გათავისუფლებაში, თუ შეამცირებს თავის გავლენას და ასპარეზს ბოლომდე ჩინეთს დაუთმობს. ხოლო თუ ეს ასე მოხდა და ევროკავშირმა დასავლეთ ბალკანეთზე გავლენა ჩინეთს გადასცა, მხოლოდ პეკინს ექნება რეგიონის მომავლის განსაზღვრის შესაძლებლობა.

სინოჰიდრო რუმინეთში

საქართველოს, ჩრდილოეთ მაკედონიის და სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, რუმინეთის მთავრობაც განიცდის ე.წ. „დიუ დილიჯენსის“ (Due Diligence) პრობლემას. ამაზე კი მათი სინოჰიდროსადმი დაუცხრომელი ინტერესი და პარტნიორობა მიგვითითებს. შესაძლოა ეს ქვეყანა ჩრდ. მაკედონიის მსგავსად სინოჰიდროს და ჩინეთის ვალების პოლიტიკის მომდევნო მსხვერპლი გახდეს. 2018 წლიდან „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ფარგლებში რუმინეთის ეროვნული გზების კომპანიამ აქტიურად დაიწყო სინოჰიდროს მსხვილი, თუ მოკლევადიანი ინფრასტრუქტურული პროექტებით დაჯილდოვება. კონკრეტულად, პირველი კონტრაქტი რუმინეთმა სინოჰიდროსთან 2018 წელს გააფორმა. მას Nord Vest Infrastructura şi Servicii-სთან (ადგილობრივი რუმინული კომპანია) ერთად დაევალა 123 თვეში **52 მილიონი ევროს ღირებულების** ბუქარესტის გზის სარტყელის მოდერნიზაცია, კერძოდ, A1-DN 7 და DN 2-A2 შორის: DN 2 (კმ 12 + 300) - A2 (კმ 23 + 750) სექტორების მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი რუმინეთის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ლივიუ დრაგნეას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაფორმდა. მან რუმინეთის ეკონომიკა ხელმისაწვდომი გახადა ისეთი ჩინური კომპანიებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ახალ ბაზრებს ეძებენ და სახელმწიფო გავლენებს აფართოებენ. ”ჩინეთი საიმედო პარტნიორია ევროპისთვის, და მე მჯერა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა არის კარიბჭე ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობისა ორ კონტინენტს შორის, მისი ორი ძირითადი საყრდენით, ერთი მხრივ, ჩინეთით, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირით”- **განაცხადა** ლივიუ დრაგნეამ 2017 წლის მაისში ღონისძიებაზე ”პოლიტიკური პარტიების დიალოგი, ჩინეთი - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები”. ეს სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც იმავე წელს რუმინეთის უზენაესმა სასამართლომ **კორუფციულ მაქინაციებში** ამხილა და 3.5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ის დამნაშავედ ცნეს, რადგან სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით, მისი პარტიის ორ წევრ ქალბატონს ყალბი (გამოგონილი) სამუშაოსთვის ფულს ურიცხავდა. მიუხედავად ამისა, მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ჩინურ კომპანიებს და განსაკუთრებით, სინოჰიდროს რუმინეთში გზა გაეხსნა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუმინეთის საგზაო ინფრასტრუქტურის კომპანია CNAIR-ის ცნობით, 2020 წლის ივლისში, კონსორციუმმა, რომელიც სინოჰიდროსა და ადგილობრივი კომპანია Good Prod-სგან შედგება, 38 მილიონი ევროს ღირებულების სალაჯის ჩრდილო – დასავლეთის მხარეში, ზალაუს შემოვლითი, სარტყლური გზის პროექტის **ტენდერი მოიგო. კონტრაქტი** 30 თვეს მოიცავს და გულისხმობს ხუთი ვიადუკის და ორი ხიდის დიზაინსა და მშენებლობას, ასევე ორი შემოვლითი გზის მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტიც „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ნაწილია, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ ინიციატივას ჩინეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და პეკინის გავლენების გავრცელება/გამყარებაში.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია თავისი ეკონომიკური გავლენების გაზრდას რუმინეთში ადრეც ცდილობდა, თუმცა ეს მცდელობები ძირითადად უშედეგოდ სრულდებოდა. მაგალითად, 2013 წელს რუმინეთის ენერგეტიკის სამინისტრომ ხელი მოაწერა სინოჰიდროსთან სამომავლო პარტნიორობის წერილს Tarnița-Lăpuștești ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც 1.3 მილიარდი ევროს ინვესტიციას გულისხმობდა. **2015 წელს** რუმინეთმა ოფიციალურად დაიწყო მოლაპარაკებები ამ პროექტზე ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით, სადაც სხვა ევროპულ კომპანიებთან ერთად ჩინური სინო-

ჰიდროც მიიღებდა მონაწილეობას. თუმცა, 2016 წლისთვის, რუმინეთის მთავრობამ მიატოვა პროექტზე ტენდერის განხორციელება და ის მომავლისთვის გადადო. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დისკუსია მხოლოდ 2019 წელს განახლდა. რუმინეთის პროგნოზისა და სტრატეგიის ეროვნულმა კომიტეტმა (CNSP) გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც საუბარი იყო რუმინეთის ენერგო სისტემისთვის Tarnița-Lăpuștești ჰიდროელექტროსადგურის შეუქცევად და უპირობო მნიშვნელობაზე. ხოლო რუმინული მედია კი ამ პროექტის განსახორციელებლად მთავრობის მიერ **კერძო პარტნიორი კომპანიების** ძებნაზე ალაპარაკდა. შესაძლოა, ეს გარემოება ეფექტურად გამოიყენოს სინოჰიდრომ, რომელსაც დღესდღეობით რუმინულ ბაზარზე უფრო ფართო წვდომა აქვს, ვიდრე ეს 2013 წელს ჰქონდა და შესაძლოა უახლოეს მომავალში, ის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტის ერთადერთ თუ არა, ერთ-ერთ განმახორციელებლად ვიხილოთ.

ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო

მედიაში ვრცელდება ინფორმაციები, კიდევ ერთი ჩინური კომპანიის "რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის" სოლიდური დავალიანებების შესახებ. **China Railway 23 Bureau Group Co., Ltd** 2002 წელს დაარსდა და წარმოადგენს „China Railway Construction Corporation Limited“-ის შვილობილ კომპანიას. მისი ქართული ფილიალი 2010 წლის 30 ივლისს შეიქმნა და დღემდე აქტიურად ეწევა გზებისა და რკინიგზის მშენებლობას. Commersant-ის ცნობით, "კომპანიის **2017 წლის ფინანსური ანგარიშგების** მიხედვით, China Railway 23rd Bureau Group Co-მ 129,843,076 ლარის შემოსავალი მიიღო, კომპანიის წლიურმა მოგებამ კი 10,396,879 ლარი შეადგინა."

სინოჰიდროს მსგავსად, China Railway 23rd Bureau- ს საქართველოში ჰყავს ე.წ. ქვეკომპანია „მანდი“, რომელიც პერიოდულად ახორციელებს , გვირაბებისა და რელსების მშენებლობისათვის საჭირო მასალის შემოტანას (სპეცტექნიკა, სამშენებლო მასალები და ა.შ.).

China Railway 23rd Bureau Group Co-ს აბარია ზესტაფონი-ხარაგაულისა და მოლითი-ქვიშხეთის მონაკვეთებზე გვირაბის (ღირებულება $278 მილიონი) მშენებლობა. სინოჰიდროს მსგავსად, ისიც **არღვევს** ადგილობრივი მუშების უფლებებს, უქმნის არასათანადო შრომით პირობებს რაც შვებულების აუნაზღაურებლობაში, მათთვის არაჰიგიენური გარემოს შექმნაში, სათანადო აღჭურვილობის და პროდუქტის არქონაში, უყურადღებობასა და ზოგადად, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკების შექმნაში გამოიხატება. სწორედ ამის გამო, ხშირად ქართველ მუშებს გაფიცვა უწევთ. 2018 წლის 22 იანვარს, გვირაბის აფეთქებისას სამი მუშა დაშავდა, ხოლო უფრო ადრე, 2017 წელს სამუშაოს შესრულებისას ორი მუშა დაიღუპა. კომპანიის წარმომადგენლები ხშირად ან უარყოფენ ბრალდებებს, ან საერთოდ არ პასუხობენ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის შეკითხვებს.

2019 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა **9 თვიანი აკრძალვა დააწესა** ჩინურ კომპანიებზე კერძოდ, ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამშენებლო და საინჟინრო კომპანია და მისი სრულუფლებიანი შვილობილი კომპანიები, China Railway 23 Bureau Group Co., Ltd. (CR23) და China Railway Construction Corporation (International) Limited (CRCC International) აღმოჩნდნენ აკრძალვის რეგულაციის ქვეშ. ეს აკრძალვა დაკავშირებული იყო საქართველოში „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში არსებულ გადაცდომებთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს 164 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტს, რომელიც ოფიციალურად 2015 წელს გაფორმდა და 2023 წელს უნდა დასრულდეს. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, გზატკეცილის მშენებლობის ხელშეკრულების წინასწარი კვალიფიკაციისა და ტენდერის ჩატარების დროს, პროექტში მონაწილე დასახელებულმა სამმა ჩინურმა კომპანიამ მოამზადა და წარადგინა ინფორმაცია, რომელიც არასწორად ასახავდა China Railway 23 Bureau Group Co., Ltd.-ის პერსონალისა და აღჭურვილობის რაოდენობას. ასევე მათ მიერ მიწოდებულ ცრუ ინფორმაციაში არასწორად იყო წარმოდგენილი კომპანიებისა და მათი შვილობილი კომპანიების გამოცდილებაც. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მსოფლიო ბანკის ადმინისტრაციული სანქციების სისტემის ფარგლებში, ეს ქმედებები განიხილება თაღლითობის პრაქტიკად. აღსანიშანავია, რომ სათანადო ქართულ ორგანოებს არასდროს უარყვიათ კომპანიასთან მიმართებაში არსებული დავალიანებების არსებობა, ისევე, როგორც არ არსებობს ახსნა-განმარტება, თუ როგორ შეარჩია საქართველოს გზების დეპატრამენტმა იგი. ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პირადი კომუნიკაციის მეშვეობით, სამოქალაქო იდეამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია China Railway 23 Bureau Group Co., Ltd.-ის საქართველოში მოღვაწეობასთან დაკავშირებით და იკითხა თუ რატომ განაგრძობს ეს კომპანია აქტიურ ფუნქციონირებას საქართველოში, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკმა ის არაკანონიერი ქმედებებისა და უზუსტობების გამო 9 თვიანი აკრძალვის ქვეშ მოაქცია. ამის საპასუხოდ, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გამოგვიგზავნა ოფიციალური წერილი, რომლის მიხედვით, მათ China Railway 23 Bureau Group Co., Ltd.-ის მონაწილეობაზე ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებელობაში სრული პასუხისმგებლობა აზიის განვითარების ბანკს (ADB) დააკისრეს. მართლაც, ეს პროექტი ეკუთვნის აზიის განვითარების ბანკის მიერ დასპონსორებულ **ჩრდილო-სამხრეთის დერეფანს**, რომელიც ასევე 2019 წელს დაიწყო (2021 წლამდე) და მისი საერთო ღირებულება 324,242,222.86 ლარია. რაც შეეხება, ზემოაღნიშნულ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფანს, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ აღნიშნული კომპანიის აკრძალვის მთავარი მიზეზი გახდა, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კომენტარი არ გააკეთა. გთავაზობთ წერილის სრულ ვერსიას:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

2361-01-2-202007091513

N 01/2361
09/07/2020

ქალბატონო

თქვენი 2020 წლის 5 ივნისის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №3458/01; 05.06.2020) პასუხად გაცნობებთ, რომ მსოფლიო ბანკმა (WB) 2019 წლის 5 ივნისს გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც, China Railway Construction Corporation Ltd-ს (CRCC), ჩინეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს, China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd - ს. (CR23) და China Railway Construction Corporation (International) Limited-ს (CRCC International) 9 თვით შეუზღუდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ ტენდერებში მონაწილეობა.

China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd (ჩინეთი) მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ -სამხრეთის კორიდორის განვითარების ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 2) მიზნით 2018 წელს გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში. აღნიშნული მონაკვეთის სამუშაოები ფინანსდება აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის აზიის განვითარების ბანკის (ADB) წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ტენდერის ყველა ეტაპი, მათ შორის ხელშეკრულების მინიჭება განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) თანხმობით. აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd -სათვის ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 2) ხელშეკრულების მინიჭებაზე თანხმობა დეპარტამენტმა მიიღო 2019 წლის 23 მაისს.

ხელშეკრულების მინიჭების შეტყობინების გაგზავნის შემდეგ ხელი მოეწერა დეპარტამენტსა და China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd-ს შორის ხელშეკრულებას ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 2) შესახებ („ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორის განვითარების პროექტის ფარგლებში").

შესაბამისად, China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd- სთან ხელშეკრულება გაფორმდა „ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორის განვითარების პროექტის ფარგლებში" და არა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის განვითარების პროექტის" ფარგლებში, როგორც ეს თქვენ მიერ მითითებულია წერილში.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მსოფლიო ბანკის აკრძალვა ვრცელდებოდა 9 თვეზე და 2019 წლის 5 ივნისის შემდეგ ზემოაღნიშნული კომპანიები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ამასთან, გაცნობებთ, რომ აზიის განვითარების ბანკს (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), მსოფლიო ბანკს (WB), ინტერ-

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

ამერიკული განვითარების ბანკს და აფრიკის განვითარების ბანკს შორის 2010 წლის 9 აპრილს გაფორმდა შეთანხმება „აკრძალვის გადაწყვეტილებების ურთიერთული აღსრულების თაობაზე", რომლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თითოეული ზემოაღნიშნული ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებს სხვა ბანკს მისი აკრძალვის გადაწყვეტილების თაობაზე, ხოლო ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ სხვა ბანკები აღასრულებენ ამ გადაწყვეტილებას გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მათ შორის იმ პირობით, რომლის მიხედვითაც აკრძალვის საწყისი პერიოდი უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd - ს მიმართ გამოყენებული აკრძალვა ვრცელდება 9 თვეზე. შესაბამისად არ არსებობდა იმის წინაპირობა, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ ზემოაღნიშნული აკრძალვა გამოყენებული ყოფილიყო China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd-ს მიმართ, ვინაიდან ბანკებს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად აკრძალვის კრიტერიუმია ის ფაქტი, რომ აკრძალვა უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 1 წლიან პერიოდზე.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

ბიბლიოგრაფია

Ministry of Infrastructure. (27/08/2018). *Maia Tskitishvili: Warning was given about Samtredia-Grigoleti road construction*. See https://www.youtube.com/watch?v=yS_8Wzw21E8

Roads Department of Georgia. (30/04/2018). *If Sinohydro fails to fulfill its obligations sanctions will be imposed*. See, http://www.georoad.ge/?lang=eng&act=news&uid=1525075225

"Reason(s) for rejection: Sinohydro Corporation Limited had been temporarily suspended in accordance with the World Bank Sanctions Procedures as of 4 December 2013." Accessible at: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&uid=1403876394

The Herald. (2017, 06 20). *AfDB Blacklists Sinohydro.* https://www.herald.co.zw/afdb-blacklists-sinohydro/

South China Morning Post. (N/A). *Sinohydro denies dam unsafe.* https://www.scmp.com/article/971151/sinohydro-denies-dam-unsafe

Financial Times. (N/A). *Sinohydro shrugs off Africa criticism*. https://www.ft.com/content/fd323eda-a032-11e2-88b6-00144feabdc0

www.georoad.ge. (13/04/2010). *Invitation for pre-qualification selection.* http://www.georoad.ge/old/?que=geo/tenders/international&info=760

BRIAN BENZA. (02/08/2017). *Sinohydro backs out of P92m suit against government*. https://www.mmegi.bw/index.php?aid=70663&dir=2017/august/02

Mlex company. (08/08/2016). *Chinese dam builder seeks Congo project after avoiding World Bank penalty.* https://mlexmarketinsight.com/insights-center/editors-picks/area-of-expertise/anti-bribery-and-corruption/chinese-dam-builder-seeks-congo-project-after-avoiding-world-bank-penalty

The World Bank Group, Annual Report, INTEGRITY VICE PRESIDENCY (INT), Fiscal Year 2016, p. 37.

Roads Department of Georgia. (N/A). *Tenders, STANDARD FORM OF THE PROCUREMENT NOTICE IN THE OFFICIAL JOURNAL OF THE EUROPEAN UNION (OJEU)* http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1424774837

William Yaw Owusu. (22/08/2018). *NDC Sabotages $2bn Chinese Deal Petitions IMF & World Bank*. https://dailyguidenetwork.com/ndc-sabotages-2bn-chinese-deal-petitions-imf-world-bank/

Garrigues. (19/02/2019). *International Arbitration Newsletter - February 2019 | Regional Overview: Asia Pacific.* https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=637a96a2-61db-47fe-af8d-d08e8d696cea

Unini Chioma. (05/05/2018). *30 Years Of Living And Working In Lagos*. https://thenigerialawyer.com/30-years-of-living-and-working-in-lagos/

African Development Bank Group. (24/05/2018). *Integrity in Development Projects: African Development Bank and Sinohydro Reach Settlement Agreement on Fraudulent Practice*. https://bit.ly/30moucS

Antony kiganda. (21/04/2017). *Tender for Kenya's Thwake dam cancelled.* https://constructionreviewonline.com/2017/04/tender-for-kenyas-thwake-dam-cancelled/

Edwin Mutai & Kitavi Mutua. (30/03/2017). *Progress of Thwake dam in jeopardy as China Gezhouba appeals.* https://nation.africa/kenya/news/progress-of-thwake-dam-in-jeopardy-as-china-gezhouba-appeals-379632

Roads Department of Georgia. (N/A). *Tenders: SPECIFIC PROCUREMENT NOTICE*. http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1453375666

Jean Marie Takouleu. (23/09/2019). *ZAMBIA: Sinohydro halts work at Kafue Gorge Dam site.* https://www.afrik21.africa/en/zambia-sinohydro-halts-work-at-kafue-gorge-dam-site/

Roads Department of Georgia. (N/A). *Tenders: INVITATION FOR BIDS, Batumi-Akhaltsikhe Road Project (BARP)*. http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1583761969

იუსტიციის სამინისტრო (2019, 09 04). სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. Retrieved from ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: https://bit.ly/30j62lg

Forbes Georgia. (2019, 04 15). *საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია/100 largest companies in Georgia*. Retrieved from www.forbes.ge: https://bit.ly/3ihhLHg

BUILD.gov.ge. 2020. *Modernization of Tbilisi-Rustavi Road (Sections 1 and 3)*. https://bit.ly/3n6hZ7x

BUILD.gov.ge. 2020. *Construction of Kobuleti Bypass Road (LOT I)*. https://bit.ly/30kIRXE

BUILD.gov.ge. 2020. *Construction of Samtredia-Grigoleti Road (Lot II)*. https://bit.ly/34cvHNF

BUILD.gov.ge. 2020. *E60 Highway Modernization of Zemo Osiauri-Chumateleti LOT I.* https://bit.ly/2GfHUJr

Roads Department of Georgia. (N/A). Tenders: *CONTRACT AWARD PUBLICATION: Batumi-Akhaltsikhe Road Project*. http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&uid=1596472051

Legislative Herald of Georgia. (17/01/2014). *„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში"-ის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან განთავისუფლების თაობაზე.* https://bit.ly/2HGkOvX

Legislative Herald of Georgia. (24/06/2014). *შპს-ის „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე.* https://bit.ly/30lcwAm
Media for Business(M2B). (02/02/2018). *საქართველოს გზების მშენებელი "სინოჰიდროს" წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს.* https://m2b.ge/post/183976-saqartvelos-gzebis-msenebeli-sinohidros-winaarmdeg-gamozieba-mimdinareobs
COMMERSANT. (30/01/2018). *ასე აგებენ გზებს საქართველოში - დაჭაობებული ქობულეთი.* https://bit.ly/30kGkgo
Ia Asatiani. (09/06/2020). *როცა ჯარიმას ჩალის ფასი აქვს/When the fine has the price of straw.* https://www.ifact.ge/sinohydrogaremo/
The Association of Young Financiers and Businessmen. (26.02.2018). *AFBA - Sinohydro pollutes the environment more than any other company*. https://afba.ge/ge/news/index/262
Young Barristers. (05/03/2018). *Sinohydro Illegally Builds Samtredia-Grigoleti Road Without Mandatory Permits*. http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1179
timer.ge. (14/02/2018). *Young Lawyers publishes 21 systemic violations of Sinohydro in Georgia.* https://www.timer.ge/akhalgazrda-advokatebi-saqarthveloshi-kompania-sinohydro-s-saqmianobaze-21-sistemur-darghvevas-aqvekhnebs/
Sophie Ksovreli. (29/01/2018). *The Roads Department will report on the case of Sinohydro within a week.* https://commersant.ge/ge/post/sinohidros-saqmeze-saavtomobilo-gzebis-departamenti-angarishs-ert-kvirashi-dadebs
Maia Micheladze. (N/A). *Why did the head of the Roads Department resign?*. https://bit.ly/3ihip7E
Mikheil Goguadze. (16/08/2020). *Sinohydro has won a tender worth GEL 96 million - experts talk about corruption*. https://mtavari.tv/news/13490-sinohidrom-96-milioniani-tenderi-moigo-ekspertebi?fbclid=IwAR0TSEjqfvtoNYBDmLDGG5WJO8SYkaZH9InrelCmRI0I7-aM09Bd8UcCh1E
Roads Department of Georgia. (04/08/2020). *Winner Identified for Khulo-Zarzma 42km Road Construction Tender*. http://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&uid=1596527873
William Yaw Owusu. (22/08/2018). *NDC Sabotages $2bn Chinese Deal Petitions IMF & World Bank.* https://dailyguidenetwork.com/ndc-sabotages-2bn-chinese-deal-petitions-imf-world-bank/
yen.com.gh. (2019). *IMF raises alarm over Ghana's Sinohydro deal.* https://ghanasummary.com/yengh/132085/imf-raises-alarm-over-ghanas-sinohydro-deal
IMF Country Report No. 19/367, Ghana, Dec 2017, p. 13.
Julius Yao Petetsi. (17/12/2019). *Ghana: Parliament Approves Over Gh2.2 Billion for 2020 Roads, Bridges Construction*. https://allafrica.com/stories/201912170474.html
NOSMOT GBADAMOSI. (28/01/2020). *Ghana's Bauxite Boom, Chinese investment has led to a crush of infrastructure development in Ghana's tropical forests—and not everyone is happy about it.* https://foreignpolicy.com/2020/01/28/china-investment-bauxite-mining-ghana-infrastructure/
IMF Country Report No. 19/97, Ghana, Apr 2019, p. 28.
Sebastian Horn; Carmen M. Reinhart & Christoph Trebesch. (26/02/2020). *How Much Money Does the World Owe China?*. https://hbr.org/2020/02/how-much-money-does-the-world-owe-china
NOKUTHABA DLAMINI. (15/03/2020). *Shock as govt, power company turn blind eye on Chinese abuses.* https://bit.ly/33cEDU2
The World Bank Group, Annual Report, INTEGRITY VICE PRESIDENCY (INT), Fiscal Year 2016, p. 37.
Mlex company. (08/08/2016). *Chinese dam builder seeks Congo project after avoiding World Bank penalty.* https://mlexmarketinsight.com/insights-center/editors-picks/area-of-expertise/anti-bribery-and-corruption/chinese-dam-builder-seeks-congo-project-after-avoiding-world-bank-penalty
Nikko Dizon. (26/10/2016). *Chinese Company Banned by World Bank Bags PH Infrastructure Project.* Retrieved from www.business.inquirer.net : https://business.inquirer.net/217467/chinese-company-banned-by-world-bank-bags-ph-infrastructure-project
World Bank Group, Sanctions System Annual Report FY19, 2019, p. 9.
Génesis Lozano. (24/02/2020). *Can Latin America's first AIIB member learn from past mistakes?*. https://dialogochino.net/en/infrastructure/33575-can-latin-americas-first-aiib-member-learn-from-past-mistakes/
Nicholas Casey & Clifford Krauss. (24/12/2018). *It does not matter if Ecuador can offer this Dam. China still gets paid*. https://www.nytimes.com/2018/12/24/world/americas/ecuador-china-dam.html

Johan van de Ven. (24/04/2019). *The Role of State-Owned Infrastructure Companies in the Development of China's Latin America Policy*. https://bit.ly/3l36yfo

Xinhua. (07/07/2019). *North Macedonia opens new highway section constructed by Chinese firm.* http://www.xinhuanet.com/english/2019-07/07/c_138204936.htm

Ana Krstinovska. (06/11/2019). *Exporting Corruption? The Case of a Chinese Highway Project in North Macedonia.* https://chinaobservers.eu/exporting-corruption-the-case-of-a-chinese-highway-project-in-north-macedonia/

JACOB MARDELL. (27/04/2019). *Postcard from the New Silk Road: A Highway to Nowhere.* https://berlinpolicyjournal.com/postcard-from-the-new-silk-road-a-highway-to-nowhere/

Mladen Lakic. (28/03/2019). *China's Loan for Bosnia Coal Plant Worries EU.* https://balkaninsight.com/2019/03/28/chinas-loan-for-bosnia-coal-plant-worries-eu/

Michal Makocki & Zoran Nechev. (07/2017). *Balkan corruption: the China connection.* https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/Alert%2022%20Balkans.pdf

Austin Doehler. (25/09/2019). *How China Challenges the EU in the Western Balkans*. https://thediplomat.com/2019/09/how-china-challenges-the-eu-in-the-western-balkans/

ECONOMICA.net. (25/02/2018). *Primul drum făcut de chinezi în România. Sinohydro, câştigătorul licitaţiei pentru lărgirea la 4 benzi a Centurii Bucureşti între DN2 şi A2.* https://www.economica.net/primul-drum-facut-de-chinezi-in-romania-sinohydro-castigatorul-licitatiei-pentru-largirea-la-4-benzi-a-centurii-bucuresti-intre-dn2-si-a2_150450.html

ALEXANDRU MIHĂESCU. (17/09/2018). *Capitalismul chinez de stat pune piciorul în România: Compania Națională de Drumuri a dat un contract firmei Sinohydro Corporation, care are probleme în Uganda*. https://www.g4media.ro/capitalismul-chinez-de-stat-pune-piciorul-in-romania-compania-nationala-de-drumuri-a-dat-un-contract-firmei-sinohydro-corporation-care-are-probleme-in-uganda.html

BBC. (27/05/2019). *Romania corruption: PSD chief Liviu Dragnea jailed*. https://www.bbc.com/news/world-europe-48421430

Seetao. (08/04/2020). *Power China signed a contract with Romanian highway project.* https://www.seetao.com/details/33409/en.html

Nicoleta Banila. (24/07/2020). *China's Synohidro Corp, Romania's Good Prod win 185 mln lei (38 mln euro) deal to build Zalau ring road*. https://seenews.com/news/chinas-synohidro-corp-romanias-good-prod-win-185-mln-lei-38-mln-euro-deal-to-build-zalau-ring-road-707510

Cătălin Prisacariu & Sorin Ozon. (15/05/2020). *How to cash in public money. The Sinohydro recipe.* https://linx.crji.org/en_US/2020/05/15/how-to-cash-in-public-money-the-sinohydro-recipe/

Vladimir Spasić. (04/03/2019). *State to seek private partner for pumped-storage HPP Tarnita-Lapustesti.* https://balkangreenenergynews.com/state-to-seek-private-partner-for-pumped-storage-hpp-tarnita-lapustesti/

Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. (15/08/2019). *An agreement has been signed for the construction of the Kvesheti-Kobi access road*. Retrieved from www.mrdi.gov.ge: https://bit.ly/3ji78VR

Commersant. (20/08/2019). *China Railway 23rd Bureau Group Co., which was banned from bidding by the World Bank, earned GEL 129,843,076 in 2017.* Retrieved from www.commersant.ge: https://bit.ly/3jfRY3q

Luka Pertaia. (27/02/2018). *Welcome to Hell - Railroad Construction*. https://oc-media.org/ketili-ikos-tkveni-mobrdz/

The World Bank. (05/06/2019). *World Bank Group Debars China Railway Construction Corporation Ltd. and two subsidiaries*. https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/06/05/world-bank-group-debars-china-railway-construction-corporation-ltd-and-two-subsidiaries

Roads Department of Georgia. (N/A). *Tenders, Contract Award Notice*. http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&uid=1566802842

ჩვენი გუნდი

გაიცანით ადამიანები,
რომლებიც ჩვენს საოცარ გუნდს ქმნიან

თინა, ანი, მარი

საზოგადო იდეა

National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე პასუხისმგებლები არიან თინათინ ხიდაშელი & ანი კინწურაშვილი